



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 03

2018 წ. "15" 02

ქ.თბილისი

შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ ჰიპოკრატესათვის ავტორიზაციის  
გაუქმების შესახებ

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 56<sup>4</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ ჰიპოკრატეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205005439) გაუუქმდეს ავტორიზაცია.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 15 თებერვლის №1 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე  
დავით აფრასიძე

მდივანი  
მაკა გველესიანი